აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

ტრადიციული აჭარული სამზარეულოს მასტერკლასები

15.10.2020 - 15.10.2020

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული აჭარული სამზარეულოს თემატიკაზე დაგეგმილი ტრენინგების და მასტერკლასების სერია "გემრიელი აჭარა" ტრადიციული რეცეპტებისა და უნიკალური გემოების დღესასწაული იყო, რომელიც ემოციებსა და მოგონებებს აღვიძებს და აჭარის ტრადიციულ სოფლებში გამოგზაურებთ. ღონისძიების ფარგლებში განხილული იქნა აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისათვის დამახსიათებელი სამზარეულოს ტრადიციები და მათი კულინარიული მრავალფეროვნება. ტრენინგს ესწრებოდა აჭარის კვების ობიექტებისა და გიდების სექტორის 40 წარმომადგენელი. მათ აღნიშნეს თემის აქტუალობა და სამომავლოდ რეგიონის სტუმრებისათვის მეტი ტრადიციული, ადგილობრივი სამზარეულოსათვის დამახასიათებელი კერძის გაცნობის აუცილებლობა.

ტრენინგების და მასტერკლასების სერია "გემრიელი აჭარა" მოიცავდა ტრენინგების სერიას - როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე პრაქტიკულსაც. თეორიული ნაწილი წარმოადგენდა ეთნოგრაფის მიერ დამსწრეთათვის ადგილობრივი სამზარეულოს ისტორიული წარმოშობისა და ფორმირების თავისებურებების გაცნობას. პრაქტიკული ტრენინგი მოიცავდა მასტერკლასებს ლაზური, ქობულეთური და მღალმთიანი აჭარის ტრადიციული კერძების შესახებ. ღონისძიების ფარგლებსი განხორციელდა მასტერკლასები, სადაც ცნობილმა შეფ-მზარეულებმა დამსწრეებს ადგილობრივი კერძების ტრადიციული ვერსიების გარდა შესთავაზეს მათი თანამედროვე ვერსიებიც. პროექტში ადგილობრივ მზარეულებთან ერთად (რომა კაკაბაძე, როინ ფაღავა, გოგა ზანაქიძე) ჩართული იყვნენ ისეთი ცნობილი შეფმზარეულები, როგორიცაა:

- დადუნა ღლონტი
- მიშა ავსაჯანიშვილი
- გურამ ბაღდოშვილი

ტრენინგის ფარგლებში გარდა კულინარიული მასტერკლასებისა ასევე ჩატარდა ეთნოგრაფიის სალექციო-სატრენინგო სახის ღონისძიებები და სერვისის განვითარების მასტერკლასები, რომელთაც უძღვებოდნენ: ანდრია ქურასბედიანი, საერთაშორისო სერვისის ტრენერი და ნოდარ შოშიტაშვილი, ეთნოგრაფი. შესაბამისი ვიდეორგოლები ასევე ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ-გვერდზე და იუთუბ არხზე:

- ლაზური კერძების მომზადების მასტერკლასი.
- ქობულეთური კერძების მომზადების მასტერკლასი.
- მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოს მასტერკლასი.
- ლექცია-სემინარი "ლაზური ეთნოგრაფიული და კულინარიული თავისებურებები".
- ლექცია-სემინარი "ქობულეთური კულინარიის თავისებურებები და ეთნოგრაფიული ელემენტები".
- ლექცია-სემინარი "მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოს თავისებურებები და ეთნოგრაფიული ელემენტები".
- "სუფრის ეტიკეტი"
- "სუფრის სერვირება"
- "მასპინძლობის ხელოვნება"
- "ღვინის ეტიკეტი"

პროექტის ფარგლებში მომზადდა ასევე აჭარული სამზარეულოს საპრომოციო ვიდეორგოლები შემდეგი მიმართულებით:

- აჭარული სამზარეულოს საერთო საპრომოციო ვიდეორგოლი "გემრიელი აჭარა"
- ლაზური კერძების საპრომოციო ვიდეორგოლი
- ქობულეთური კერძების საპრომოციო ვიდეორგოლი
- მაღალმთიანი აჭარის სამზარეულოს საპრომოციო ვიდეორგოლი

* პროექტის ფოტოგალერეა